ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N127

2016 წლის 22 აგვისტო
ქ.ქობულეთი

## ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთი მუნიციპალიტეტის, სოფელ ქაქუთში ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ ,,ზვიად მეგრელიძი"-ს კუთვნილ ობიექტზე შპს ,,ჯეოსელი"-ს სარგებლობაში მყოფი უძრავი ქონების ს/კ 20.31.02.118) 0.4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე




| | | |
|---|---|---|
| | | ENERGO-PRO |
| | | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქაქუთში მდებარე შპს "ჯეოსელი"-ს ობიექტი |
| სპეც. | ი. ჯიბლაძე | სიტუაციური გეგმა |
| | | 04კვ. ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა |

| სტადია | ფურცელი | ფურცლ |
|---|---|---|
| მ.პ. | 1 | 1 |

სს ენერგო-პრო ჯორჯია
ქ. ბათუმი ბაგრატიონის ქ. №1
2016 წ.